ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტსა და

ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის პროფესიულ სახელმწიფო
დრამატულ თეატრს შორის

ქ. ბათუმი 29 ივნისი, 2022 წელი

პრეამბულა

ერთი მხრივ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის, მაია ჭიჭილეიშვილის მიერ და მეორე მხრივ, ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (შემდგომში „თეატრი"), წარმოდგენილი დირექტორის, ვასილ ჩიგოგიძის მიერ, ორივე ერთად „მხარეებად" წოდებული, ეყრდნობიან რა თანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს, ერთობლივი პროექტების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით, თანხმდებიან ურთიერთთანამშრომლობაზე:

1. მემორანდუმის საგანი

1.1. წინამდებარე მემორანდუმით მხარეები ადგენენ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებს, კისრულობენ ვალდებულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმართონ საკუთარი საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპებზე.

1.2. მემორანდუმი არ ზღუდავს თანამშრომლობის სახეებსა და ფარგლებს. მხარეებს შეუძლიათ ითანამშრომლონ ყველა იმ საკითხშიც, რომელიც გამომდინარეობს ორმხრივი ინტერესებიდან, თუმცა ამ მემორანდუმში პირდაპირ არ არის მოხსენებული.

2. მემორანდუმის მიზნები

მემორანდუმის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მიზანია ხელი შეუწყოს:

ა) შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
ბ) ერთობლივი შემოქმედებითი და კულტურის განვითარების პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას;
გ) სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
დ) ცალკეული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას.

3. თანამშრომლობის მიმართულებები

მხარეები თანამშრომლობენ შემდეგი მიმართულებებით:

ა) აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით;
ბ) წინასწარი შეთანხმების საფუძველზე გამოიყენებენ ერთმანეთის მატერიალურ-ტექნიკურ და ინტელექტუალურ რესურსს, მომერანდუმის მიზნების მისაღწევად;
გ) ერთმანეთს გაუწევენ კონსულტაციებს, განახორციელებენ ერთობლივ შემოქმედებით პროექტებს, მოამზადებენ ერთობლივ სიმპოზიუმებს, კონფერენციებს და სხვადასხვა სახის ერთჯერად შემოქმედებით პროექტებს;
დ) „თეატრი“ და „უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფენ სხვადასხვა სახის შემოქმედებითი და კულტურული ღონისძიებების განხორციელებას;
ე) მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით;
ვ) თეატრი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას;

ზ) უნივერსიტეტი პრაქტიკის დაგეგმვის დროს გაითვალისწინებს:

- პრაქტიკის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სასწავლო კურსით დადგენილ ვადას;
- პრაქტიკის მიზანია სასწავლო პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის განმტკიცება, ახალი კომპეტენციებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება;
- პრაქტიკის კონკრეტული ვადები განისაზღვრება მხარეებს შორის მოლაპარაკებით უნივერსიტეტის შესაბამისი წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

თ) თეატრი თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგილი განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების პროცესში.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ წინამდებარე მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპებზე.

4.2. მხარეთა მიერ ერთობლივად დაგეგმილ ყველა ღონისძიებასა თუ პროექტზე, ამ მემორანდუმის პრინციპებზე დაყრდნობით, შედგება წერილობითი შეთანხმების აქტი, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი ყოველი დაგეგმილი აქტივობა.

4.3. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობები, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

5. მემორანდუმის მოქმედების ვადა, ცვლილებები და დამატებები

5.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

5.2 წინამდებარე მემორანდუმში შესაძლებელია შევიდეს ნებისმიერი სახის ცვლილება ან/და დამატება, რომელიც იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობით გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

6. სხვა პირობები

6.1. მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.

6.2 წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების გზით.

6.3 მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების
სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

მ. ჭიჭილეიშვილი

საქართველო, ბათუმი
ვაჟა-ფშაველას ქ. N 32
ტ. +995 593 362361
ელ.ფოსტა: info@batu.edu.ge
ვებ.გვ. batu.edu.ge

ოზურგეთის ალ.წუწუნავას სახელობის
პროფესიული სახელმწიფო დრამატული
თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი

ვ. ჩიგოგიძე

საქართველო, ოზურგეთი
ჭავჭავაძის 1
ტ. 0 496 27 33 73
ელ.ფოსტა: theatreozurgeti@gmail.com
ვებ.გვ. www.ozurgetitheatre.ge